სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წლიური ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად

(2023 წლის 10 დეკემბრიდან 2024 წლის 10 დეკემბრამდე)

- სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში (შემდგომში – ,,ცენტრი") 2023 წლის 10 დეკემბრიდან 2024 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 7 განცხადება. 2023 წლის 10 დეკემბრიდან 2024 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ცენტრში შემოსული განცხადებებიდან სრულად დაკმაყოფილდა 6 განცხადება. (ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში), ხოლო 1 განხადებაზე პასუხი არ გაცემულა. შემოსული განცხადებებიდან 5 მათგანი გამოიგზავნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გავლით, ხოლო 2 კი პირდაპირ უშუალოდ ადრესატისგან.

  • ცენტრის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები, დებულებით დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებდნენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. ცენტრში დაცულია პერსონალური მონაცემები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ცენტრის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (e-document) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ - ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

  • 2023 წლის 10 დეკემბრიდან 2024 წლის 10 დეკემბრამდე ცენტრის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა" და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის 2023 წლის 10 მარტის N 15-ძ ბრძანების საფუძველზე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა იურიდიული სამმართველოს უფროსი, ნანა კვარაცხელია.

  • ცენტრის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული) მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევის საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტი.

- საანგარიშო პერიოდში ცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე არცერთი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

- ცენტრის მიერ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა ხარჯები. ამასთან, ადგილი არ ჰქონდა ცენტრის მიერ მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას